

Revision

Sowohl im **deutschen** als auch im **georgischen Strafprozessrecht** ist die Revision (§§ 333 bis 358 dStPO, Art. 300 bis 309 gStPO) ein Rechtsmittel, das der Überprüfung von Urteilen in rechtlicher, aber nicht in tatsächlicher Hinsicht dient. Demnach ermöglicht die Revision (in Georgien auch bezeichnet als „Kassation“) keine erneute Beweisaufnahme bzw. Einführung von Tatsachen. Überprüft wird lediglich, ob das Urteil in verfahrensrechtlicher Hinsicht fehlerfrei zustande gekommen ist und ob das materielle Recht aufgrund des festgestellten Sachverhalts richtig angewendet wurde.

Zulässig ist die Revision im **deutschen Strafprozess** gegen Urteile der Strafkammern und der Schwurgerichte am Landgericht sowie gegen erstinstanzliche Urteile der Oberlandesgerichte (§ 333 dStPO). Zudem gibt es die Möglichkeit der Sprungrevision, wonach das Rechtsmittel der Berufung gegen Urteile des Strafrichters und Schöffengerichts (Amtsgericht) übersprungen und direkt Revision eingelegt werden kann (§ 335 dStPO). Im **georgischen Strafprozess** ist die Revision ausschließlich ein Rechtsmittel gegen Berufungsurteile der zweiten Instanz (Art. 300 Abs. 1 gStPO). Darüber hinaus muss – ähnlich der Sprungrevision im **deutschen Strafprozess** – ein erstinstanzliches Urteil des Geschworenengerichts direkt mit der Revision angefochten werden (Art. 266 Abs. 2 gStPO).

Rechtsmittelberechtigt sind sowohl der Beschuldigte, bzw. dessen Verteidiger oder gesetzlicher Vertreter, als auch die Staatsanwaltschaft (§ 296 Abs. 1 dStPO, Art. 300 Abs. 2 gStPO). Zudem können im **deutschen Strafprozess** unter Vorliegen der entsprechenden Voraussetzungen auch der Verletzte als Privatkläger (§ 390 dStPO) oder Nebenkläger (§ 400 dStPO) Revision einlegen, während der Verletzte nach **georgischem Recht** nicht rechtsmittelberechtigt ist.

Die Einlegung der Revision muss in **Deutschland** binnen einer Woche (§ 341 Abs. 1 dStPO), in **Georgien** binnen eines Monats (Art. 302 Abs. 1 gStPO) nach Verkündung des anzufechtenden Urteils erfolgen. Sie führt in **beiden Ländern** zur Zuständigkeit der nächsthöheren Instanz (Devolutiveffekt). Je nachdem sind damit in **Deutschland** entweder der Bundesgerichtshof oder ein Oberlandesgericht, in **Georgien** das Oberste Gericht als Revisionsgericht zuständig. Die Hemmung der Rechtskraft des angefochtenen Urteils (Suspensiveffekt) tritt hingegen nur im **deutschen** (§ 343 Abs. 1 dStPO), nicht aber im **georgischen Strafprozess** ein.

Zudem ist der Revisionsantrag zu begründen (§ 344 Abs. 1 dStPO, Art. 301 Abs. 1 und 2 gStPO). Diesbezüglich muss der Beschwerdeführer nach **deutschem Recht** darlegen, ob sich die Revision auf Verfahrensfehler (sog. Verfahrensrüge, § 344 Abs. 2 S. 1 Alt. 1 dStPO) oder auf die Verletzung materiellen Rechts (sog. Sachrüge, § 344 Abs. 2 S. 1 Alt. 2 dStPO) bezieht. Für die Begründung steht dem Beschwerdeführer im **deutschen Strafprozess** ein weiterer Monat nach Ablauf der Einlegungsfrist zur Verfügung (§ 345 dStPO), während im **georgischen Strafprozess** nicht zwischen Einlegungs- und Begründungsfrist unterschieden wird.

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

Sofern der Revisionsantrag nicht als unzulässig verworfen wird (§ 349 Abs. 1 dStPO, Art. 303 Abs. 1 gStPO), kommt es zur Revisionshauptverhandlung (§§ 350, 351 dStPO, Art. 306 gStPO). Die Revision ist begründet, wenn eine formelle oder materielle Rechtsverletzung in der Vorinstanz erfolgte. Die **georgische Strafprozessordnung** zählt diesbezüglich ausdrücklich die Verletzung von Verfahrensnormen, einen falschen Schuldspruch sowie eine fehlerhafte Strafzumessung auf (Art. 300 Abs. 1 lit. a) bis c) gStPO). Die **deutsche Strafprozessordnung** unterscheidet indes zwischen (nicht abschließend benannten) relativen Revisionsgründen (§ 337 dStPO) und (abschließend benannten) absoluten Revisionsgründen (§ 338 dStPO). Bei Letzteren handelt es sich um besonders schwerwiegende Verfahrensfehler, die auch ohne den Nachweis der Kausalität zwischen Rechtsverletzung und Urteil, zur Begründetheit der Revision führen. Bei den relativen Revisionsgründen ist dagegen stets zu prüfen, ob das Urteil auch auf dem Verfahrensfehler „beruht“.

Die Begründetheit des Revisionsantrags führt zur Aufhebung des angefochtenen Urteils sowie der von einem etwaigen Verfahrensfehler betroffenen Tatsachenfeststellungen (§ 353 dStPO, Art. 307 Abs. 1 lit. a) bis c) gStPO). Während das Revisionsgericht nach **deutschem Verfahrensrecht** die Sache entweder an die Vorinstanz zurückverweisen (§ 354 Abs. 2 dStPO) oder eine eigene Sachentscheidung treffen (§ 354 Abs. 1 dStPO) kann, ist nach **georgischem Verfahrensrecht** eine Zurückverweisung an die Vorinstanz zur erneuten Entscheidung nicht vorgesehen. Demnach muss das Revisionsgericht stets in der Sache selbst entscheiden, d.h. den Freigesprochenen verurteilen (Art. 307 Abs. 1 lit. b gStPO), den Verurteilten freisprechen (Art. 307 Abs. 1 lit. a gStPO) oder das angefochtene Urteil anderweitig hinsichtlich der Rechtsfolgen und des Schuldspruchs abändern (Art. 307 Abs. 1 lit. c gStPO). Wird das angefochtene Urteil indes als fehlerfrei erachtet, wird die Revision in **beiden Rechtsordnungen** als unbegründet verworfen (in der dStPO nicht ausdrücklich normiert, Art. 307 Abs. 1 lit. d gStPO).

Für das Revisionsurteil gilt sowohl nach **deutschem** als auch nach **georgischem Recht** das Verschlechterungsverbot, sofern das Rechtsmittel eingelegt wird, um ein günstigeres Ergebnis für den Beschuldigten zu erreichen. Während das Verbot in **Deutschland** nur die Art und Höhe der Rechtsfolgen betrifft (§ 358 Abs. 2 dStPO), umfasst es in **Georgien** auch den Schuldspruch (Art. 308 Abs. 1 gStPO).

Wird das Urteil wegen einer Gesetzesverletzung bei Anwendung des Strafgesetzes aufgehoben und betrifft diese Aufhebung auch Mitverurteilte, die selbst nicht Revision eingelegt haben, erstreckt sich die Wirkung der Revision auch auf sie (§ 357 dStPO, Art. 309 gStPO). (Mpi/Gtu)

რევიზია (კასაცია)

როგორც გერმანულ, ისე ქართულ სისხლის საპროცესო სამართალში რევიზია (კასაცია) (გსსკ-ის 333-3058-ე პარაგრაფები, ქსსკ-ის 300-309-ე მუხლები) არის საჩივარი,

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

რომელიც ემსახურება განაჩენების სამართლებრივი და არა ფაქტობრივი თვალსაზრისით გადახედვას. შესაბამისად რევიზია (საქართველოში წოდებული როგორც „კასაცია“) არ იძლევა განმეორებით მტკიცებულებების ანდა ფაქტობრივი გარემოებების წარდგენისა და გამოკვლევის შესაძლებლობას. ადგილი აქვს მხოლოდ იმის შეფასებას, თუ რამდენად უხარვეზოდ იქნა მიღებული განაჩენი პროცესუალურსამართლებრივი თვალსაზრისით და რამდენად სწორად იქნა გამოყენებული მატერიალური სამართალი დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე.

გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში რევიზია დასაშვებია მიწის სასამართლოს სისხლის სამართლის პალატისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენებზე, ისევე როგორც მიწის უმაღლესი სასამართლოს პირველი ინსტანციით მიღებულ განაჩენებზე (გსსსკ-ის 333-ე პარაგრაფი). ამის გარდა, არსებობს „ნახტომისებური რევიზიის“ შესაძლებლობა, რომლის შემთხვევაშიც საჩივარი გამოტოვებს (გადაახტება) სისხლის სამართლის მოსამართლის და შეფენების სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების (საუბრნო სასამართლო) აპელაციას და იგი პირდაპირ სარევიზიო წესით შესაძლებელია იქნეს შეტანილი (გსსსკ-ის 335-ე პარაგრაფი). **ქართულ სისხლის სამართლის პროცესში** კი რევიზია (კასაცია) წარმოადგენს საჩივარს მხოლოდ მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ სააპელაციო წესით მიღებულ განაჩენებზე (ქსსსკ-ის მე-300 მუხლის 1-ელი ნაწილი). ამასთან, მსგავსად „ნახტომისებური რევიზიისა“ **გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში**, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებული პირველი ინსტანციის განაჩენი უნდა გასაჩივრდეს პირდაპირ სარევიზიო (საკასაციო) წესით (ქსსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სარევიზიო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირები (კასატორები) არიან, როგორც მსჯავრდებული, მისი ადვოკატი ან კანონიერი წარმომადგენელი, ისე პროკურატურა (გსსსკ-ის 296-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი, ქსსსკ-ის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილი). ამის გარდა, **გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში** სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში სარევიზიო (საკასაციო) საჩივრის შეტანის უფლება აქვს აგრეთვე დაზარალებულს, როგორც კერძო მბრალმდებელს (გსსსკ-ის 390-ე მუხლი), ან სუბსიდიურ ბრალმდებელს (გსსსკ-ის მე-400 პარაგრაფი), მაშინ როცა **ქართული სამართლის** მიხედვით, დაზარალებულს არ გააჩნია განაჩენის გასაჩივრების უფლებამოსილება.

სარევიზიო (საკასაციო) საჩივარის შეტანა **გერმანიაში** უნდა მოხდეს ერთი კვირის (გსსსკ-ის 341-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი), ხოლო **საქართველოში** ერთი თვის განმავლობაში (ქსსსკ-ის 302-ე მუხლის 1-ელი ნაწილი) სადავო განაჩენის გამოცხადებიდან. საჩივარის შეტანა **ორივე ქვეყანაში** იწვევს საქმის ზემდგომი ინსტანციისთვის დაქვემდებარებას (დევოლუციური ეფექტი). შესაბამისად, **გერმანიაში** უფლებამოსილ სარევიზიო (საკასაციო) სასამართლოს წარმოადგენს ან ფედერალური უზენაესი სასამართლო ან

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

მიწის უმაღლესი სასამართლო, საქართველოში კი უზენაესი სასამართლო. გასაჩივრებული განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის და აღსრულების შეჩერებას (სუსპენზიური ეფექტი) ადგილი აქვს მხოლოდ გერმანულ (გსსკ-ის 343-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი) და არა ქართულ სისხლის სამართლის პროცესში.

ამასთან, სარევიზიო (საკასაციო) საჩივარი საჭიროებს დასაბუთებას (გსსკ-ის 344-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი, ქსსკ-ის 301-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები). ამ მხრივ საჩივრის ავტორმა გერმანული სამართლის მიხედვით უნდა მიუთითოს, თუ რას ეხება რევიზია, პროცესუალურ ხარვეზებს (ე.წ. საპროცესო საჩივარი, გსსკ-ის 344-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების 1-ელი ალტერნატივა) თუ მატერიალური სამართლის დარღვევას (ე.წ. მატერიალური საჩივარი, გსსკ-ის 344-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების მე-2 ალტერნატივა). დასაბუთებისთვის გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში საჩივრის ავტორს აქვს კიდევ ერთი დამატებითი თვე სარევიზიო საჩივრის შეტანის ვადის გასვლიდან (გსსკ-ის 345-ე პარაგრაფი), მაშინ როდესაც, ქართული სისხლის სამართლის პროცესი არ განასხვავებს ერთმანეთისგან საჩივრის შეტანისა და მისი დასაბუთების ვადებს.

თუკი სარევიზიო (საკასაციო) საჩივარი არ იქნა დაუშვებლად ცნობილი (გსსკ-ის 349-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი, ქსსკ-ის 303-ე მუხლის 1-ელი ნაწილი), ჩატარდება სარევიზიო (საკასაციო) სხდომა (გსსკ-ის 350-ე, 351-ე პარაგრაფები, ქსსკ-ის 306-ე მუხლი). რევიზია (კასაცია) დასაბუთებულია, თუკი წინა ინსტანციაში ადგილი ჰქონდა პროცესუალური ან მატერიალური სამართლის დარღვევას. ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ მხრივ ცალსახად მიუთითებს საპროცესო ნორმების დარღვევაზე, ქმედების არასწორ კვალიფიკაციაზე და სასჯელის არასწორად დანიშვნაზე (ქსსკ-ის მე-300 მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტები). გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აქ განასხვავებს ერთმანეთისგან (არა ამომწურავად განსაზღვრულ) რევიზიის რელატიურ (გსსკ-ის 337-ე პარაგრაფი) და (ამომწურავად განსაზღვრულ) აბსოლუტურ საფუძვლებს (გსსკ-ის 338-ე პარაგრაფი). ეს უკანასკნელი შეეხება ისეთ განსაკუთრებით მძიმე პროცესუალურ ხარვეზებს, რომლებსაც სამართალდარღვევასა და გამოტანილ განაჩენს შორის მიზეზობრივი კავშირის მტკიცების გარეშე მიყვავართ რევიზიის დასაბუთებამდე. ამისგან განსხვავებით, რევიზიის რელატიური საფუძვლებისას როგორც წესი შესაფასებელია, „ეფუძნება“ თუ არა განაჩენი ასევე პროცესუალურ ხარვეზებს.

სარევიზიო საჩივრის დასაბუთებულობა გამოიწვევს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, ისევე როგორც, ცალკეულ პროცესუალურ ხარვეზებთან დაკავშირებულ გარემოებათა დადგენას (გსსკ-ის 353-ე პარაგრაფი, ქსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტები). თუკი სარევიზიო სასამართლოს გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით საქმის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსთვის

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

უკან დაბრუნება ან საკუთარი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია (გსსსკ-ის 354-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი), **ქართულ სისხლის საპროცესო სამართალში** საკასაციო სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნება ხელახალი გადაწყვეტილების მისაღებად გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვალდებულია საქმეზე თავად მიიღოს გადაწყვეტილება, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს (ქსსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), გამამტყუნებელი განაჩენის ნაცვლად დაადგენს გამამართლებელ განაჩენს (ქსსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ან გასაჩივრებულ განაჩენში სასჯელის ან მსჯავრდების ნაწილში შეიტანს ცვლილებებს (ქსსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). თუკი გასაჩივრებული განაჩენი იქნება უხარვეზოდ მიჩნეული, **ორივე ქვეყანაში** რევიზია (კასაცია) უსაფუძვლობის გამო იქნება უარყოფილი და იგი არ დაკმაყოფილდება (გსსსკ-ში არ არის ცალსახად განსაზღვრული, გსსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი).

სარევიზიო (საკასაციო) სასამართლოს განაჩენისთვის როგორც **გერმანული**, ისე **ქართული სამართლის** მიხედვით მოქმედებს საუარესოდ შებრუნების აკრძალვა, როდესაც საჩივარი შეტანილია მსჯავრდებულის სასიკეთო შედეგის მისაღწევად. თუკი აღნიშნული აკრძალვა **გერმანიაში** ეხება მხოლოდ სასჯელის სახესა და ზომას (გსსსკ-ის 358-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი), იგი **საქართველოში** მოიცავს ასევე მსჯავრდების ნაწილსაც (ქსსსკ-ის 308-ე მუხლის 1-ელი ნაწილი).

თუკი განაჩენი უქმდება სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისას კანონდარღვევის გამო და აღნიშნული ეხება ასევე ამ საქმეში მსჯავრდებულ სხვა პირებსაც, რომელთაც სარევიზიო (საკასაციო) საჩივარი არ შეუტანიათ, რევიზიის (კასაციის) ეფექტი მათზეც გავრცელდება (გსსსკ-ის 357-ე პარაგრაფი, ქსსსკ-ის 309-ე მუხლი). (Mpi/Gtu)